სამშაბათი, 1918 წ. იანვარი 23 5 № 18
წელიწადი მეოთხე

სამშაბათი. 1918 წ. იანვარის 23 (5) № 18
ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

კონტორა

გაზეთის ფასი ერთის წლით 50 მ. 6 თვით 27 მ. 3 თვით 13 მ. 50 კ. ერთი თვით (მხოლოდ თბილისში) 8 მან. ცალკე № 20 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე შემოსულ განცხადებათა ფასი ორკეცი იქნება. სამგლოვიარო განცხადება თითოეულ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მანეთი. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს 1 1/2 საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

## დღეს:

### ცნობები:

ლენინი ცოცხალია. ყაზახების წინააღმდეგ ბრძოლაში ბოლშევიკებს გერმანელი გენერალი ფონ-მარსი უფროსობს. დონის ოლქი თებერვლის 4-სათვის დამფუძნებელ კრებას იწვევს.—ფრონტიდან მიმავალ ჯარის-კაცებმა დაარბიეს და ცეცხლი წაუკიდეს რიზეს.—ინგლისმა მურმანი დაიჭირა.

გუშინ ამიერ-კავკასიის სეიმი გაიხსნა.

### წერილები:

ზ. ჟ. ამიერ-კავკასიის სეიმი.
ა. ასათიანი. პარტიის მეორე ყრილობა.

ზ. ჭიჭინაძე. კავკასიის აქტების ისტორია.
კორესპონდენცია, თიანეთიდან.

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე სპირიდონ ვასილის ძე კაჭარავა, შვილები: გიორგი, ვასილი, ელისაბედი, მარგარიტა, ნინო, ანასტასია პელაგია, სიძე ალექსი ჩიჩუა, დედა მარია, ძმები დავითი და ვლადიმერი ფულარიძენი, რძლები ფუტუ და ნატალია ფულარიასი, და ოფლანდა თუშმალისი ქმრით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ დაკარგულ

დესპინე ბესარიონის ასულის
კაჭარავას
გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს ექვს საათზე. დასაფლავების დღე იქნება გამოცხადებული. თბილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 5 საკუთარი სახლი.
1—969—1

## ქართული კლუბი

ხუთშაბათს 25 იანვარს
ქართველ მსახიობთა კავშირი მართავს თავის

## პირველ საღამოს

მოწყობილი იქნება მრავალი გართობები სცენასა და დარბაზებში.
გ. აბაშიძე. საზოგადოებას უჩვენებს ქართვ. მსახიობის მომავალს.
გ. გუნია. ერთგვარ წამალს შესთავაზებს.
ე. ჩერქეზიშვილი. ბედსა სწერს.
და სხვა ყველა მსახიობნი ეცდებიან საღამოზე დამსწრეთა პატივისცემას, სამსახურსა და

## ჯიბის შეთხლებას

შესრულებული იქნება ხორით და ორკესტრით მუსიკალური სურათი მელიტონ ბალანჩივაძისა მისივე ხელმძღვანელობით. მონაწილეობას ღებულობს ქ-ნი ზულგინა. აგრეთვე გამართული იქნება

## საკონცერტო განყოფილება

საუკეთესო ძალთა მონაწილეობით და შესრულებული იქნება შარჟები „თაგუნასი“. სცენაზე თავმჯდომარეთ მოწვეულია

## სანდრო ყანჩელი

და სცენაზედვე დამშვენებული იქნება პაოლო იაშვილის ექსპრომტებით.
დასაწყისი საღ. 8 საათზე. საღ. გამგე ქართ. მსახ. კავშირის საბჭო.
3—898—1

მიიღება ხელის მოწერა

ორკვირეულ, სასულიერო მთავრობასთან დამოუკიდებელ ჟურნალ

## „ახალ სიტყვა“-ზე.

ჟურნალის მიზანია საქართველოს ეკლესიის ფაქტიური განხილვა სახარების ნიადაგზე. ჟურნალს აარსებს თბილისის და საქართველოს პროვინციების სამღვდელოების და ერის კაცთა ჯგუფი ყოფილ ჟურნალ „სიტყვის“ ფაქტიურ ხელმძღვანელთა თაოსნობით. მოწვეულია ახალი თანამშრომლებიც, რომელთაც სია გამოცხადდება თვით ჟურნალში. საგამომცემლო ამხანაგობის საწევრო გადასახადი (პაი) ათი თუმანია. ხელის მოწერის ფასი ექვსი თვით ექვსი მანეთია (თუ გამგეობის პირობები არ შეიცვალა). ფული მიიღება რედაქციის მოადგილე დეკ. ანტონ თოთიბაძესთან: თბილისი, სიონის საკათედრო ტაძრის ეზო. სარედაქციო მასალები და წერილები უნდა გამოიგზავნოს მღ. ქრისტეფორე ცაცქიშვილის სახელზე: თბილისი, ..., კამენოლომსკის ქ., № 47.

ჟურნალ „ახალ სიტყვის“ დამაარსებელთა რწმუნებული—რედაქტორი მღვდ. ქრისტეფორე ცაცქიშვილი. (1—967—1)

## მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-დღიურ გაზეთ

1918 წ. წელი მეოთხე „საქართველო“-ზე 1918 წ. წელი მეოთხე

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | თვით |
|---|---|---|---|---|
| გაზეთის ფასი: | 50 მან. | 27 მან. | 13 მ. 50 კ. | 4 მ. 50 კ. |

ერთის თვით გაზეთის თა შეიძლება მხოლოთ თბილისში

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, контора газ. „САКАРТВЕЛО“, почт. ящ. 76.

კონტორაში ხელის მოწერა მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—8 სა. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: სასახლის ქ. № 5, ქართული ქარვასლა. 15—73 ტელეფონი.

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი

იმყოფება ახალ ბინაზე, სასახლის ქუჩა № 5, ქართულ სათავადაზნაურო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის. ამ დროს განმავლობაში შეიძლება როგორც ცნობების მიღება, ისე წევრად ჩაწერა და შემოწირულობის შეტანა.

## საქართველოს კოოპერატივების საყურადღებოდ.

საქართ. ეროვნულ საბჭოს თაოსნობით 2 თებერვალს თბილისის გუბერნიაში (ქუთაისის გუბერნიისა და ბათომის მიდამოების შესახებ ცალკე იქნება გამოცხადებული), მოწვეულია ყოველგვარი ტიპის (საკრედიტო, მწარმოებელი, გამსაღებელი და მომხმარებელი)

## კოოპერატივების შეერთებული სამაზრო ყრილობა.

ყრილობას უნდა დაესწროს თვითოეულ კოოპერატივის, სარაიონო, სამაზრო, საქალაქო, საგუბერნიო და ამიერ-კავკასიის საკოოპერაციო კავშირების თითო წარმომადგენელი (შეიძლება მეტიც).

განსახილველი საგანია: 1) საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფინანსიური ნაწილის კომისიის არჩევა, 2) საზოგადოდ კოოპერატივების მონაწილეობა ხალხში ფინანსიური ორგანიზაციების შესაქმნელად ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ.

კრებები მოხდება ყველგან 2 თებერვალს, ყველგან დილის ხრუდს 11 ს. და დაესწრება ტფილისიდან საქართ. ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი:

| | | | |
|---|---|---|---|
| გორის მაზრის კრება: | | ქალაქ გორში, | საკრებულოს დარბაზში, |
| სიღნაღის მ. | „ „ | სიღნაღში, ქართული კლუბის | „ |
| თელავის და თიანეთის | „ „ | თელავში, შემნახ.-გამს. ამხ. | „ |
| ახალციხე-ახალქალაქის | „ „ | ახალციხეში, კოოპ. „მესხეთის“ | „ |
| თბილისის | „ „ | თბილისში, ეროვნ. საბჭოს | „ |
| დუშეთის | „ „ | დუშეთში, საკრებულოს | „ |

კრების გადადება შეუძლებელია. საბჭოს სექციის მოწოდება ყველა კოოპერატივს დაეგზავნა ფოსტით. თუ ფოსტის მიზეზის გამო რომელიმე კოოპერატივმა არ მიიღო მოწოდების ფურცელი, კოოპერატივმა უნდა იხელმძღვანელონ გაზეთში მოთავსებული განცხადებით და თავისი წარმომადგენელი უეჭველად გაგზავნონ კრებაზე დანიშნულ დროს და ადგილს.

(2—896—2) ეროვნულ საბჭოს საფინანსო სექცია.

ექიმი
დიმიტრი (რამინ) იოსების ძე
## ყორდანია

სწავლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული პალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დილეზზე.
თ—960—4

სამკურნალო კაბინეტი ექიმ
ალექსანდრე დავითის ძის
## კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნიუს“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დოქტორი და ქალისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი

ყოფილი ასისტენტი ექიმი თბ. ქალთა კურსებისა.
შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელეფ. № 17—21.

კბილის ექიმმა
## ჭამულაიშვილი-ხოდნევისამ
განაახლა
ავადმყოფების მიღება.
10—1 დილით, 5—6 საღამოს, გარდა კვირისა.
ოლღის ქუჩა, № 22.
25—823—62

## ჩვენი ხალხის საყურადღებოთ

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ვერა-ილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

1918 წლის პირველ იანვრიდან
მიიღება ხელის მოწერა ყოველთვიურ სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ჟურნალ

## „პრომეთე“-ზე

ხელის მოწერის პირობები ჯერ-ჯერობით შემდეგია: ჟურნალი 3 თვით ღირს 9 მანეთი. ცალკე ნომერი 4 მანეთი.

სარედაქციო კოლეგია: აკაკი შანიძე, აკაკი პაპავა, იოსებ ყიფშიძე, კონსტანტინე გამსახურდია

გამომცემელი: ისიდორე სტურუა.

### პრომეთეს პირველი ნომრის შინაარსი:

1. რედაქციის მიერ.

ახალი მწერლობა

2. დავით კლდიაშვილი. მშობლის ნუგეში.
3. აკაკი პაპავა. ნახშირის ხაზები.
4. კოტე მაყაშვილი. რომანსი.
5. არისტო ქუთათელაძე. 19 ღვინობისთვის საღამო.
6. ნიკო ფაშალიშვილი. ჩასული მზე.
7. კონია გამსახურდია. ბერლინი.
8. აკაკი შანიძე. ქართული ეროვნული ჰიმნი.

ძველი მწერლობა

9. ლოცვაჲ წმიდისა იერემიასი (ბაქარისეული გამოცემის თანახმად).
10. გამოხვალათაჲ (ათორმეტე საუკუნის ხელთნაწერის თანახმად).

სამეცნიერო განყოფილება

11. ივანე ჯავახიშვილი. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII-ს.
12. კორნელი კეკელიძე. იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან.
13. ექვთიმე თაყაიშვილი. ლაბეჭინის ეკლესიის სახარება.
14. აკაკი შანიძე. „მცა“ ნაწილაკი ძველს ქართულში.

პოლიტიკა

15. ქ. გ. Anno 1917.
16. თ. ტერ-გრიგორიანი. „მშაკი“ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა, (თარგმანი ა. შ—ისა).

სურათები

17. იაკობ ნიკოლაძე. „პრომეთეს“ პირველი გვერდი და „ქუდილბრის“.
18. ქ. თბილისის სურათი შარდენის დროს. ამოღებულია შარდენის მოგზაურობის წიგნიდან.
19. ქ. გორის ციხის აგება. მისიონერ კასტელლის სურათი.
20. ქუთაისის საზოგადო ბაღში—სურათი მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს. ამოღებულია ახლად აღმოჩენილი ქართული რუკიდგან.

ჟურნალ „პრომეთეს“ მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 190.
3—890—2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამიერ-კავკასიის დამფუძნებელ კრება-სეიმს იწვევენ.

# გაუმარჯოს საქართველოს დამფუძნებელ კრებას!

# გაუმარჯოს საქართველოს დროებით მთავრობას

## ამიერ-კავკასიის სეიმის გახსნა

სასტიკმა სინამდვილემ ბევრი მომხიბლავი პოლიტიკური ოცნება გაატიტვლა ან გაჰფანტა ბოლო დროს. ერთი ასეთი მომხიბლავი ოცნება სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება იყო. რუსის სოციალისტებმა და ლიბერალებმა დამფუძნებელი კრების იდეა საფრანგეთის დიდი რევოლუციის ისტორიიდან ისესხეს. მაგრამ ბოლო წლებში ამ იდეამ რუსეთში დიდი შთამაგონებელი ძალა შეიძინა. დამფუძნებელი კრების მოთხოვნა შეტანილი იყო დიდი პოლიტიკური პარტიების პროგრამებში, მისთვის სისხლს ღვრიდნენ და კატორგაში მიდიოდნენ თავდადებული ადამიანები. მაგრამ როცა დიდი ხნის ოცნება თითქმის განხორციელდა და დამფუძნებელი კრების არჩევნები დამთავრდა, მისმა ადრინდელმა პლატონიურმა თაყვანისმცემლებმა გადასწყვიტეს, რომ მასში არაფერი ყოფილა მიმზიდველი და უმწეო კრებული გარეკეს უკიდურესმა რევოლუციონერებმა, რომელნიც წინად მზად იყვნენ მოწამებრივი სიკვდილი მიეღოთ მისი გულისთვის.

ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ, რომ ასეთივე ბედი ეწევა ეგრედ-წოდებულ ამიერ-კავკასიის სეიმს, რომელიც გუშინ გაიხსნა ტფილისში. ჩვენის ღრმა რწმენით ეს დაწესებულება მძაფრ ვნებათა ღელვას და შეტაკებას არ გამოიწვევს, ისედ აღრევა თავისთავად, როგორც სუსხიანი ატმოსფერაში გადატანილი უცხო მცენარე და მისი სიკვდილი სიბრალულის ცრემლებს არ გამოიწვევს თვით იმ ორიოდე მეოცნებე ფედერალისტში, რომელნიც დღეს უფრო ბედის მქადაგებლის შთაბეჭდილებას ახდენენ, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწეებისას.

მართლაც დღევანდელმა სინამდვილემ შეურყევლად დაამტკიცა ის, რის დამტკიცებაც ვერ შესძლო ხანგრძლივმა თეორეტიულმა კამათმა. გამოაშკარავდა, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციას არავითარი რეალური ნიადაგი არა აქვს და ამიერ-კავკასიის ერების პოლიტიკური შეკავშირება იქნებოდა ეთგვარი მეზალიანსი, რომელიც ყველა წევრს ერთნაირად გააუბედურებდა. მართლაც რა აქვს საერთო საქართველოს თურქობასა, თათრობასა, თარაქამასთან? ჩვენ გვაკავშირებს მხოლოდ ის გარემოება რომ პოპულარულ გეოგრაფიული სახელმძღვანელოების შემადგენლებმა და რუსის ძველმა ბიუროკრატებმა ერთსა და იმავე გეოგრაფიულ თუ ადმინისტრატიულ ერთეულში მოგვაქციეს, მაგრამ ეს გარემოება ოდნავაც ვერ დაჩრდილავს ღრმა კულტურულ, რასსიულ და პოლიტიკურ წინააღმდეგობებს. უკანასკნელი თვეების გაკვეთილებმა ცხადად დაგვანახვა, რომ საქართველოს თერგისა და ყუბანის ოლქთან უფრო ძლიერი ეკონომიური კავშირი აქვს, ვიდრე ბაქოსა და განჯის გუბერნიასთან: რასსიულად ქართველობა ერთსა და იმავე ოჯახს შეადგენს ჩრდილო-კავკასიელ მთიელებთან ერთად, კულტურულად და პოლიტიკურად კი ჩვენი მისწრაფებანი დღეს შეიძლება არც ერთი კავკასიელი ერის მისწრაფებებს არ ეთანხმებოდეს სავსებით.

ასეთს პირობებში ამიერ-კავკასიის სეიმის მოწვევას ფედერალიზმის იდეისთვის მხოლოდ უარყოფითი არგუმენტის ფასი აქვს. ის ვერ შესძლებს ძლიერი მთავრობის შექმნას და ანარქიის მოსპობას. არც ერთს ეროვნებას, არც ერთს პოლიტიკურ პარტიას უმრავლესობა არ ეყოლება სეიმში. დეპუტატთა რიცხვი დაახლოებით სამად იქნება განაწილებული ქართულ სოციალდემოკრატიასა, სომხურ დაშნაკცუტიუნსა და მაჰმადიანურ მუსავათს შორის: სხვა ფრაქციებს თითო-ოროლი წარმომადგენელი ეყოლება. როგორ უნდა შესდგეს პასუხისმგებელი კაბინეტი? თუ ახალს მთავრობაში სამივე პარტიის წარმომადგენლები მოჰყვნენ, ის ისევე უძლური იქნება, როგორც დღევანდელი კომისარიატია, მიტომ რომ ცხოვრების წინააღმდეგობანი გადატანილ იქნება კაბინეტში და შემოქმედებითი ენერგია ამ წინააღმდეგობათა შერიგებას და დაშოშმინებას მოუნდება. ხოლო თუ მთავრობის შედგენა ერთმა და ორმა პარტიამ იკისრა, ოპოზიციაში დარჩენილი ეროვნება სრულიად არ სცნობს ახალს კაბინეტს. ამას ზედ დაერთვის ეროვნული საბჭოებისა და სხვადასხვა რევოლუციური ორგანიზაციების კონკურენცია, რასაც სეიმის დაარსება უფრო გააძლიერებს, ვიდრე დააცხრობს.

მაგრამ ამიერ-კავკასიის სეიმი ვერ შესძლებს ვერც თავისი მეორე მიზნის, სახელდობრ ეროვნულ ტერიტორიულ გამიჯვნის დამთავრებას. აქაც წარსულ გაკვეთილებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. საქართველოსა, სომხეთისა და ადერბეიჯანის გამიჯვნა რომ შეთანხმებით ყოფილიყო შესაძლებელი, ამას ან [illegible] ერთობა შესძლებდა ან ბ. ე. გეგეჭკორისა: პირველი [illegible]ულ ბიუროკრატიული პრინციპით ხელმძღვანელობდა, მეორე ინტერნაციონალი სოციალისტურით. მაგრამ ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ დაინტერესებული მხარეები არსებითად ყოველი დათმობის წინააღმდეგნი არიან: განსაკუთრებით სომხები და მაჰმადიანები. ეს უკანასკნელნი, სხვათა შორის, ჩვენც ბევრ რასმეს გვედავებიან: და არც ჩვენ შეგვიძლია ბორჩალოსა, ჯავახეთისა, აჭარა-ახალციხისა და ართვინის დათმობა. ბოლოს აშკარა ხდება რომ ამ საკითხსაც თვითეული მხარის რეალური ძალა გადასწყვეტს და არა შეთანხმებული რეზოლუციები.

რაღა დარჩენია გასაკეთებელი ამიერ-კავკასიის სეიმს? ვუსურვებთ რომ მას საბოლოო ზავი მაინც შეეკრას, თუმცა ისიც საეჭვოა, რომ თუნდ ამ სფეროში ტფილისის ახალგაზრდა პარლამენტმა თაოსნობა ან გამბედაობა გამოიჩინოს.

გ. ქ.

## პარტიის მეორე ყრილობა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობა დასრულდა ექვსი დღის მუშაობით. საგანგებო მოხსენებაში გადასინჯულ იქმნა როგორც პროგრამის მთავარი დებულებანი, ისე პარტიის ტაქტიკა და საორგანიზაციო საკითხები. ბევრის მოლოდინი, რომ ამ კითხვების განხილვა კონფერენციაზე უთანხმოებას და განხეთქილებას გამოიწვევდა, არ გამართლდა. ყრილობის თითქმის ყველა დადგენილება ერთსულოვნად იქმნა მიღებული.

ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი შემუშავებული იყო ვიწრო ჯგუფში და თითქმის უცვლელად მიღებული პარტიის პირველს ყრილობაზე. საჭირო იყო მისი გადასინჯვა მას შემდეგ, რაც პროგრამა პარტიისათვის კანონად იქცა და ცხოვრებაში ბრძოლის ცეცხლი გამოიარა. მეორე ყრილობამ დაამტკიცა, რომ პროგრამის მუხლები არ წარმოადგენენ განყენებულ ცნებებს, არამედ სავსებით შეეფერებიან ჩვენი ცხოვრების ნამდვილ ვითარებებს, მის ცხოველ ძალთა ზრდა-განვითარებას.

ბევრს აფიქრებდა პროგრამის პოლიტიკური ნაწილი. ამბობდნენ, ამ საგანზე პარტიაში თანხმობა სუფევს. ბევრი აასხა ჰფიქრობდა მიწის საკითხზე, თუ პარტიის ტაქტიკის შესახებ. პროგრამის პოლიტიკურ ნაწილის განხილვამ გამოაშკარავა, რომ პარტია კარგად [illegible] პროგრამის მუხლებში ზოგგან ბუნდოვანად გამოხატულ მიზნებს და მათ სავსებით იზიარებს. საკმარისი შეიქმნა მხოლოდ ფრჩხილების გახსნა, ასე ვთქვათ, რედაქციული და არა პრინციპიალური ნაბიჯის გადადგმა. ერის უზენაესი უფლება, სახელმწიფოებრივი სუვერენობა საფუძვლად უდევს ჩვენი პროგრამის პოლიტიკურ ნაწილს და პარტიის ამ სურვილებს ნათლად აშკარავებდა პროგრამის პირველი დებულებანი და ის მუხლი, რომელიც მოითხოვდა საქართველოს სახელმწიფოებრივობის აღდგენას. ასე რომ საქართველოს სუვერენობა, საქართველოს დამოუკიდებლობა არ ყოფილა სადაო პარტიისთვის, მხოლოდ ტაქტიკურის თვალთაზრისით ეს მაქსიმუმი ეროვნული პროგრამისა ბუნდოვანი რედაქციით იყო გამოხატული. სხვაფრივ არც შეიძლებოდა ყოფილიყო. პარტია, რომელიც ეროვნებას ჰსახავს უმაღლეს სოციალურ არსად და მის კულტურულს შემოქმედებას მის ქონებრივ თუ სულიერ ძალთა ბუნებრივი ზრდა-განვითარების მიუცილებელ პირობად სთვლის ერის ფიზიკურ არსებობისა და მთლიანობის დაცვას, არ შეიძლება იყოს მომხრე ეროვნულ ნებისა და უფლებათა შეზღუდვის, შებორკვის მომხრე.

სხვა საკითხია, როდის მიაღწევს ჩვენი ერი უფლებრივ დამოუკიდებლობას და როდის შესძლებს იგი ნამდვილ სუვერენობის განხორციელებას. ჩვენი პროგრამა აღნიშნავს მხოლოდ მიზანს და მისკენ მიმავალ ერთად-ერთ გზას—ეროვნულ ძალთა ზრდა-განვითარებას.

პროგრამის ეკონომიურს ნაწილს რედაქციული ცვლილებებიც არ განუცდია. აღმოჩნდა, რომ პროგრამა სავსებით ეთანხმება ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს და ჩვენი ეკონომიური ვითარების საჭიროებათ. როგორც წინად, ისე ეხლაც არ ვპირდებით მშრომელ გლეხობას იმაზე მეტს მიწებს, რაც საქართველოში მოიპოვება. მოვითხოვთ მშრომელ გლეხობაზე იმის გადაცემას, რაც ნამდვილად გვაქვს და შეგვიძლიან მივცეთ. არა ანარქიით, ხოცვა-ჟლეტით და ამბოხებით ვფიქრობთ ჩვენ მიწის რეფორმის განხორციელებას, არამედ სახელმწიფოებრივი გზით, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა, საქართველოს კანონისა და მთავრობის შემწეობით.

პოლიტიკური მომენტის დაფასება და პარტიის ტაქტიკის გარკვევა თავს იყრიდა სამი საკითხის გარშემო—საქართველოს დროებითი მთავრობა, საქართველოს ჯარი, საქართველოს დამფუძნებელი კრება. ეს სამი პოლიტიკური საფეხური უნდა განვლოს ქართველმა ერმა, და უნდა განვლოს მტკიცედ და დაჩქარებით.

საქართველოს დამფუძნებელი კრება იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობის მკვდრეთით აღდგომა. მაგრამ მის მოსაწვევად, მის მოსაწყობად და მის დასაცველად საჭიროა მტკიცე ეროვნული მთავრობა, ეროვნული სამხედრო ძალით გამაგრებული.

ეროვნული მთავრობა, ეროვნული ჯარი და საქართველოს დამფუძნებელი კრება—ასეთი იყო პრაქტიკული დასკვნა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მეორე ყრილობისა. ეს დასკვნა დაჩქარებით უნდა მიიღონ საქართველოს ყველა მომქმედ ძალებმა. მხოლოდ ამ გზით შეგვეძლება დავიცვათ ჩვენი არსებობა, მიწა-წყალი და თავისუფლება.

ა. ახათიანი.

# ზავის გარშემო

## ზავი გერმანეთთან

### საზავო მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულობის გამო.

**იოფფე.** თქვენ წინადადების მეოთხე პუნქტში ნათქვამია, რომ ორივე შეთანხმებულ მხარის მოქალაქეთ და გემებს ისე უნდა მოეპყრათ, როგორც ისეთ სახელმწიფოს მოქალაქეთ—რომლებთანაც არავითარი ხელშეკრულება არა აქვს ამა თუ იმ სახელმწიფოს. ჩვენ გვგონია, რომ ამით თითქმის არაფერი არა ითქვა რა, რადგან თავისუფალ სახელმწიფოთა საზღვრებში ყველანი სწორ-უფლებიანნი უნდა იყვნენ. ჩვენ წინადადებას ვიძლევით ხსენებული პუნქტი ასეთ რედაქციით იქმნას მიღებული: ერთ-ერთ შეთანხმებულ მხარის მოქალაქენი, რომლებიც დროებით თუ მუდმივ საცხოვრებლად მეორე მხრის ტერიტორიაში იმყოფებიან—ისარგებლებენ იმავე უფლებებით, რა უფლებებითაც სარგებლობენ ადგილობრივი მცხოვრებნი, როგორც პოლიტიკურ ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ხსენებულ მოქალაქეთ უფლება ეძლევად დაიცვან თავიანთი ეკონომიური ინტერესები და მონაწილეობა მიიღონ პროფესიონალურ მოძრაობაში. მათ უფლება უნდა ჰქონდეთ ისარგებლონ ისეთივე უფლებებით, რა უფლებებითაც სარგებლობენ ადგილობრივი მცხოვრებნი ვაჭრობაში, სხვა და სხვა საქონლის გადატანაში, სამრეწველო საქმეებში და სოციალურ თავდაზღვევაში. რაც შეეხება გადასახადებს—მათ იმაზედ მეტი არ გადახდებათ, რასაც ადგილობრივ მცხოვრებლებს ახდევინებენ.

**კიუნერი.** მეტად ძნელია ახლავე შევაფასოთ ის პროექტი, რომელიც ეს არის ეხლა იქმნა წაკითხული და გავითვალისწინოთ ის შედეგები, რომელიც ამ პროექტებიდან გამომდინარეობენ. ამიტომ მე მსურს, რომ ამ წინადადებას უფრო საქმიანი და უფრო დაწვრილებითი განხილვა შემდეგ სხდომისათვის გადაიდოს. ასევე მსურს გამოვსთქვა ის შთაბეჭდილება, რომელიც გამოვიტანე ამ პროექტის კითხვის დროს, აქ კამათი შეეხება სულ სხვა საკითხებს და არა იმათ, რომლებიც იგულისხმება მეოთხე პუნქტით.

**იოფფე.** უნდა მოისპოს ის შემზღუდველი წესები, რომლებიც ომის დროს იქმნა შემოღებული. ამასთან ერთად შეძლების დაგვარად მიღებულ იქმნება ზომები, რომ შეთანხმებულ სახელმწიფოებმა იწყონ საქონლის გაცვლა. ამ მიზნისათვის არჩეულ იქნება შერეული კომისია, რომელმაც რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყოს მოქმედება. ამ საკითხის განსამარტავად მე მსურდა მეთქვა, რომ აქ ზოგიერთი ძირითადი პრინციპებია: ჯერ ერთი, ომის შეწყვეტა სამეურნეო ეკონომიურ დარგში—მეორე მხრივ გამოთქმულია სურვილი, რომ შეძლებისამებრ საგარეო ვაჭრობა თვით სახელმწიფოებმა იკისრონ უსაშუამავლოდ. თავისთავად ცხადია, რომ ამ უკანასკნელ მიზნისთვის საჭიროა ნამდვილი ცნობები იმის გამოსარკვევად, თუ რა და რა საქონელი ესაჭიროება ამა თუ იმ ოლქს და სახელმწიფოს და ან რომელი საქონელი აქვს მოჭარბებულად.

**კიუნერი.** რუსეთის დელეგაციამ საზავო მოლაპარაკების შეწყვეტის დროის შეიმუშავა მეხუთე პუნქტის ახალი რედაქცია, რომელიც არსებითად არ განსხვავდება წინანდელ წინადადებიდან, მაგრამ მაინც ცოტაოდენ ცვლილებებს შეიცავს. მე წავიკითხავ, რომ შევადაროთ მეხუთე პუნქტის ძველ რედაქციას. შეთანხმებულ მხარეებმა გადასწყვიტეს, ეცადნენ, რომ ზავის ჩამოგდებასთან ერთად შესწყდეს ომი ეკონომიურ და ფინანსიურ ნიადაგზედაც. შეთანხმებული მხარენი არ მიიღებენ ისეთ ზომებს, რომლებიც ეკონომიურ და ფინანსიურ ნიადაგზე განაგრძობენ მტრულს მოქმედებას.

# ომი

## პალესტინაში

იანვრის 5-ს იერუსალიმის ჩრდილო რაიონში ინგლისელებმა 4 მილით წინ წაიწიეს. კონსტანტინეპოლიდან პალესტინისკენ მიმავალმა ოსმალთა მე 24-ე დივიზიას 50 პროცენტი დეზერტირი მოაკლდა. სადივიზიო დამკვრელი როტა, რომელიც ალექსანდრეტტადან გამოგზავნეს და თან 300 ასკერი გამოაყოლეს ფრონტზე მხოლოდ ოთხი ოფიცერით და 100 ასკერით და მოვიდა.

## არაბეთში

მედინის აღმოსავლეთით 8 ვერსზე იანვრის 5-ს არაბებმა ხელთ იგდეს ოსმალთა დიდი რაზმი.

## საფრანგეთში

ამ ჟამად საფრანგეთში გერმანელებს 169 დივიზია ჰყავთ. რუსეთის ფრონტზე 64 დივიზია. 1917 წლის ქრისტეშობისთვიდან საფრანგეთის ფრონტზე გერმანელებმა 16 დივიზია გადაიყვანეს. სარეზერვო დივიზიების რიცხვი 22-მდე გაიზარდა.

## იტალიაში

ფრანგების მიერ ტყვედ წამოყვანილ ავსტრიელ ჯარის კაცების სიტყვით ავსტრიელთა ჯარებში მეტად უნდო ელემენტებად ჩეხელი ჯარის კაცები ითვლებიან. მათ დეზერტირების დასაჭერად ავსტრიელებმა ჯამაგირები დანიშნეს. მკვდარზე აძლევენ 300 კრონს, ცოცხალზე 400-ს.

## იაპონიის შეიარაღება

**პარიზი.** იანვრის 8. ტოკიოში იაპონელებმა ერთი ორად გააძლიერეს მშვიდობიან ჯარის შემადგენლობა. ეს შემთხვევა მეტად აფიქრებს ინგლისს და საფრანგეთს, რადგანაც სამხედრო ძალის გაძლიერება ზედმეტია, მას შემდეგ რაც რუსეთი გამოსწყდა მოკავშირეთა რიგიდან.

# ბოლშევიკების დიქტატურა

## პეტროგრადში

### ლენინი

ხმები ლენინის მოკვლის შესახებ ტყუილი გამოდგა. იგი ცოცხალია. სახალხო კომისრები არ დაუჭერიათ.

### რკინის გზების ნაციონალიზაცია

სახალხო კომისრების საბჭოს განუზრახავს ამ დღეებში გამოსცეს რკინის გზების ნაციონალიზაციის დეკრეტი.

## პროვინციაში

### მდგომარეობა დონში

ხმები კალედინის დაჭერის შესახებ სიცრუე გამოდგა. დონის ოლქის საზღვრებზე ყაზახებისა და ბოლშევიკების შორის სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. იმისდა მიუხედავად, რომ ბოლშევიკების ნაწილებს უფროსობენ გერმანელი გენერალი ფონ-მარსი და მისი თანაშემწე სივერსი, გამარჯვება მაინც ყაზახების მხარეზეა. მაგრამ ზურგში კი იმარჯვებენ ბოლშევიკები. როსტოვში, ნოვოჩერკასკში და სხვა ამისთანა მოზრდილ ქალაქებში აწყობენ გაფიცვებს, მუშები ბოლშევიკურ მოთხოვნილებებს აყენებენ. სამხედრო წრემ ამის გამო სამხედრო წესები გამოაცხადა. თებერვლის 4 სათვის დონის ოლქის დამფუძნებელ კრებას იწვევენ.

# უკრაინა

## მე-4ე უნივერსალი

(გაგრძელება)

ყველა მეზობელ სახელმწიფოებთან როგორიცაა: რუსეთი, პოლონეთი, ავსტრია, რუმინია, ოსმალეთი და სხვები, ჩვენ გვსურს ძმურსა და მეგობრულ განწყობილებაში ცხოვრება, მაგრამ არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება დამოუკიდებელ უკრაინის ცხოვრებაში ჩაერიოს. უკრაინაში სრულ მთავრობას მიიკუთნებს უკრაინის დამფუძნებელი კრება.

ჩვენ-უკრაინის ცენტრალი რადა-ვართ მშრომელ გლეხთა, მუშების და ჯარის კაცთა წარმომადგენელნი, და ჩვენი აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც მხოლოდ ერთი სახელი აქვს: **სახალხო მინისტრების საბჭო**, დღეიდან განაგრძობს ცენტრალ სახელმწიფოებთან უკვე დაწყობილ საზავო მოლაპარაკებას და რა წინააღმდეგობაც უნდა გაუწიონ ყოფილ რუსეთის იმპერიის ნაწილებმა, იგი მოლაპარაკებას არ შესწყვეტს, რათა ჩვენ ქვეყანამ იცხოვროს სრულს სიმშვიდეში. რაც შეეხება ეგრედ წოდებულ ბოლშევიკებს და მათ მაგვარს, რომლებიც აოხრებენ ჩვენს ქვეყანას,—ჩვენ მოუწოდებთ უკრაინის რესპუბლიკის მთავრობას მტკიცედ და მედგრად შეებრძოლოს მათ—ხოლო ყველა მოქალაქეს—დაიცვან ჩვენი ერის თავისუფლება.

**უკრაინის სახალხო რესპუბლიკა უნდა განწმენდილ იქმნას პეტროგრადიდან გამოგზავნილ დაქირავებულ მოძალადეთაგან, რომლებიც ხელყოფენ უკრაინის რესპუბლიკის უფლებებს.**

ბურჟუაზიულ მთავრობათა მიერ დაწყობილ მეტად მძიმე ომმა, მოქანცა ჩვენი ერი და დაქსაქსა ჩვენი სახელმწიფო. ეხლა ყველა ამას ბოლო უნდა მოეღოს. დემობილიზაციასთან ერთად დათხოვნილ იქმნენ ჯარის კაცები და საზავო მოლაპარაკების დასრულების შემდეგ—დაშლილ იქმნეს ლაშქარი და მის მაგიერ შესდგეს სახალხო მილიცია, რომ ჩვენი ჯარი მშრომელ ხალხის დარაჯად იყოს და არა სხვის იმედად. როდესაც ჩვენი ჯარის კაცები სახლებს დაუბრუნდებიან უნდა მოხდეს სახალხო საბჭოების, სოფლის საზოგადოებათა, მაზრების და ქალაქების სათათბიროთა ხელახლა ახალი არჩევნები, რომ ჩვენ ჯარის კაცებმა მიიღონ ამ არჩევნებში მონაწილეობა. ამასთან ერთად, ადგილობრივ ისეთ მთავრობის შესაქმნელად, რომ იგი რევოლუციურ—დემოკრატიულ ელემენტებს ეყრდნობოდეს, ადგილობრივი მთავრობა თვითმმართველობებთან საერთო საქმეებში უნდა მიმართავდეს ადგილობრივ მუშათა, გლეხთა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოებს.

რადის უკანასკნელ—სესიაზე არჩეულ სადგილ-მამულო კომისიამ უკვე შეიმუშავა კანონი მშრომელ ხალხისადმი მიწის გამოუსყიდველივ გადაცემის შესახებ. კანონს საფუძვლად მიწის სოციალიზაცია უდევს. ეს კანონი უნდა განახილოს დიდ ცენტრალ რადამ და სახალხო მინისტრების საბჭომ უნდა მიიღოს ყოველივე ზომები რომ საზაფხულო მუშაობის დაწყობამდე სადგილ-მამულო კომიტეტებმა ცხოვრებაში გაატარონ მიწის მშრომელ ხალხისადმი გადაცემა.

წყლები და მიწის გულში ჩამარხული ყოველივე სიმდიდრე, რომელიც უკრაინის მშრომელ ხალხს ეკუთვნის, გადადის რესპუბლიკის განკარგულებაში.

ომმა მშრომელ ხალხის უმრავლესობა სამრად გაიყვანა, ქარხნებისა და ფაბრიკების უმრავლესობა ამზადებდა მხოლოდ იმას, რაც ომისთვის იყო საჭირო და ხალხი უსაქონლოდ რჩებოდა.

ეხლა ომს ბოლო უნდა მოეღოს. სახალხო მინისტრების საბჭომ დაუყონებლივ უნდა გასცეს განკარგულება, რომ მშრომელ ხალხისათვის საჭირო საქონელი მზადდებოდეს.

ამავე ომმა წარმოშვა ასი ათასობით უმუშევარი და ინვალიდი.

დამოუკიდებელ უკრაინის სახალხო რესპუბლიკაში არც ერთი მშრომელი კაცი არ უნდა განიცდიდეს გაჭირვებას. რესპუბლიკის მთავრობამ უნდა ასწიოს სახელმწიფოს მრეწველობა, რომ ყველა უმუშევართ შეეძლოთ შრომის შოვნა.

ვაჭრები და სხვა და სხვა შუამავალნი ღარიბების ხარჯზე იძენდენ უამრავ სიმდიდრეს.

დღეიდან უკრაინის სახალხო რესპუბლიკა, თვით იღებს სხვა და სხვა გვარ ვაჭრობას ხელში და მის შემოსავალს სახალხო საჭიროებათ მოახმარებს.

სხვა სახელმწიფოებთან ვაჭრობას თვით სახელმწიფო კისრულობს, რომ მოისპოს არსებული სიძვირე და ღარიბ ხალხმა სპეკულიანტებისაგან მოისვენოს.

ყოველივე ამის ცხოვრებაში გატარებამდის რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით უნდა შემუშავდეს და წარდგენილ იქმნეს დასამტკიცებლად რკინის, ნახშირის, თამბაქოს და სხვა ამგვარ საქონლის მონოპოლიის კანონები.

უნდა დაწესდეს ყველა ბანკებზე სახალხო კონტროლი. ბანკის ოპერაციები უნდა სწარმოებდეს არა სპეკულიაციისათვის, არამედ ხალხის საკეთილდღეოდ.

რადა და სახალხო მინისტრების საბჭო თავგანწირვით უნდა ებრძოლონ ყველა კონტრ-რევოლუციონერ ძალებს და დასაჯონ როგორც სახელმწიფოს მოღალატე ყველა ის, ვინც დამოუკიდებელ უკრაინის რესპუბლიკის წინააღმდეგ მოუწოდებს ხალხს.

მტკიცდება მესამე უნივერსალით გამოცხადებული ყველა დემოკრატიული თავისუფლება. ამას გარდა ვაცხადებთ, რომ დამოუკიდებელ უკრაინის სახალხო რესპუბლიკაში ყველა ერები სარგებლობენ ეროვნულ პერსონალურ ავტონომიის უფლებით, რაც იანვრის 9-ის კანონით იქმნა აღიარებული.

ყოველივე, რაც ნაჩვენებია ამ უნივერსალში ცენტრალ რადამ უნდა განახორციელოს.

უკანასკნელი გადაწყვეტილება ეკუთვნის უკრაინის დამფუძნებელ კრებას.

ვურჩევთ უკრაინის ყველა მოქალაქეს—ენერგიული მონაწილეობა მიიღოს უკრაინის დამფუძნებელ კრების არჩევნებში, რომ ჩვენმა მფარველმა, ჩვენმა პატრონმა—დამფუძნებელ კრებამ—განამტკიცოს ჩვენ მიერ მოპოვებული თავისუფლება ყველა მშრომელთა საკეთილდღეოდ.

ამ უმნიშვნელოვანესმა ჩვენმა ორგანომ უნდა გადასწყვიტოს ჩვენი ფედერატიული კავშირი ყოფილ რუსეთის სახელმწიფოს სახალხო რესპუბლიკებთან.

მანამდისინ კი მოვუწოდებთ დამოუკიდებელ უკრაინის ყველა მოქალაქეთ დარაჯათ ედგნენ მოპოვებულ თავისუფლებას და ჩვენ ერის უფლებებს

და დაიცვან იგი ყველა მათგან, ვინც მტერია დამოუკიდებელ უკრაინის სახალხო რესპუბლიკისა?

უკრაინის ცენტრალი რადა.

## ეროვნული საკითხი

### მაჰმადიანთა ლიგის მეთაურის დაპატიმრება

ლონდონი, იანვრის 3. ლონდონურ გაზეთ „ტაიმსი"-ის მეთაურიდან სჩანს, რომ შეუპყრიათ მაჰმადიანთა ლიგის უფროსი, მაჰმად-ალი, რომელიც მხურვალე მონაწილეობას იღებს ინდოეთის დამოუკიდებლობის მოძრაობაში.

### ირლანდიის კონვენცია

ლონდონი. იანვრის 3. ინგლისური პრესა სწერს, რომ ირლანდიის კონვენციის საქმე კარგად ვერ წარიმართება.

### ინდოეთის მოძრაობა

ლონდონი. იანვრის 3. ბენგალიაში მოძრაობა დაიწყო სახელმწიფოებრივ წესწყობილების გარდასაქმნელად, გუბერნატორმა გასცა ბრძანება, შეიპყრან მთელი რიგი არა საიმედო მასწავლებლებისა, პროფესორებისა, მღვდლებისა და ჟურნალისტებისა. ათასამდე ბრალდებული გამოქცა დანაშაულში. უმრავლესობა დაპატიმრებულია. პოლიციამ სამოც ალაგში აღმოაჩინა დაგროვილი იარაღი და სამხედრო სურსათი.

## უკანასკნელი დეპეშები

რუსეთი და მოკავშირე სახელმწიფონი. ხმებია, ვითომც ამიერ-კავკასიის კომისარიატმა დეპეშა მიიღო, რომ მოკავშირე სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, გაინაწილონ რუსეთის განაპირა ადგილები შემდეგის წესით: ამიერ-კავკასია ინგლისის გავლენის ქვეშ უნდა გადავიდეს, ჩრდილო კავკასია და დონის ოლქი საფრანგეთის გავლენის ქვეშ, ხოლო ციმბირის მხარე—ამერიკისა და იაპონიის გავლენის ქვეშ.

—

განჯიდან ინჟინერი კოზეკი ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატს: ხადგურ დოლიარზე თათრებმა ისარი გადააბრუნეს ორ მატარებლის ქვეშ. გზა შეკრულია. საჭიროა დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ ჯავშნიანი და დამხმარე მატარებლები.

## ქრონიკა

### თბილისი.

✦ დახმარება ქართულ უნივერსიტეტს და გიმნაზიას. ეროვნულმა საბჭომ დაადგინა ნივთიერი დახმარება აღმოუჩინოს ქართულ უნივერსიტეტს და გიმნაზიას, 20 ათასი მანეთი თითოს

✦ ახალი სასამართლოები თბილისში. სამოსამართლო საქმეთა კომისარმა შ. მესხიშვილმა სთხოვა თბილისის ქალაქის გამგეობას: მომრიგებელ სასამართლოთა ინსტიტუტის დასაჩქარებლად თბილისი დაჰყავით 23 ნაწილად და გვაცნობეთ თითოეულ ნაწილში რომელი ენაა უფრო გავრცელებული.

✦ სალაშქრო ციხმაუზე თავდასხმა. იანვრის 20 ს, საღამოს 9 საათზე, შეიარაღებული ჯგუფი გახაძარცვათ თავს დაესხა ქართველ ლაშქრის ციხმაუზს მიხეილის ქუჩაზე. დარაჯებმა დროზე გაიგეს, საშინელი სროლა ასტეხეს და 1 კაცი მოჰკლეს. ციხმაუზი უვნებლად გადარჩა.

### ქუთაისი

✦ ყაჩაღების გაქცევა. ცენტრალ ციხიდან გაიქცნენ ცნობილი ყაჩაღები ლომინაძე, ქორქია და ჩიქვინიძე, რომელთაც ფანჯარის რკინის ბადე გამოუმტვრევიათ და საბნის საშუალებით მეორე სართულიდან დაბლა ჩამოსულან. მათ თან წაუყვანიათ ციხის ყარაული ქართული პოლკის ჯარისკაცი ბერაძე.

✦ სამაზრო ერობის ხმოსნები ქუთაისის გუბერნიაში: ქუთაისის მაზრა 31, ქალ. ქუთაისი—14, მაზრა ქალაქით 45 ხმ. ზუგდიდის მაზრა—29, ზუგდიდი 1, სულ საგუბ.—7. სენაკის მაზრა—33, ფოთი—4, სენაკი—1, სულ 10 ხმ. გუბ. ლეჩხუმის მაზრა—25, საგუბერნიო—3. რაჭის მაზრა—25, სა— —5. შორაპნის მაზრა—43, ყვირილა—1, სულ საგუბ.—12. ოზურგეთის მაზრა—25, ქ. ოზურგეთი—2, სულ საგუბ.—3.

### თელავი

✦ პურის ხიმცირე. მცხოვრებთ გირჯანქის მეითხეზე მეტი ადარ ძლევათ პური. ამ გარემოებით სარგებლობენ ახლო-მახლო სოფლების გლეხები, ჩამოაქვთ გამომცხვარი პატარ-პატარა კვერები და მჭადები, რომელსაც მამასისხლად ჰყიდიან.

### თიანეთი

✦ მიწის ძვრა. იანვრის 13, ღამის 2 საათზე, ძალზე ძრა მიწა. ბევრი მძინარე გამოვარდა გარეთ.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ პარტიული კონფერენცია დამთავრდა იანვრის 19 ს. რეზოლიუციები თავის დროზე გამოქვეყნდება.

✦ შაბათს, იანვის 20-ს, მოხდა პირველი კრება ახლად არჩეული კომიტეტისა. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი 5 კაცისაგან. თავმჯდომარედ სპირიდონ კედია, ამხანაგებად: მაჭავარიანი იოსებ, გვაზავა გიორგი, ვაჩნაძე დავით და ასათიანი ალექსანდრე.

✦ პარტიულ კომიტეტის მორიგი სხდომა. დღეს, საღამოს ექვს საათზე დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა. განსახილველია სარევიზიო, საფინანსო, საორგანიზაციო და სხვა საკითხები.

✦ ფარმაცევტთა კრება. იანვრის 21-ს კრება ჰქონდათ ფარმაცევტთა საზოგადოების წევრებს და მოისმინეს პროექტი პროგრამისა ფარმაცევტების უმაღლეს განათლების შესახებ, პროექტი შეწყნარებულ იქმნა მცირე შესწორებით. რადგან თბილისში უნივერსიტეტი არსდება, დადგენილ იქმნა ითხოვოს ფარმაცევტთა საზოგადოებამ მოეწყოს ამ უნივერსიტეტთან საფარმაცევტო განყოფილება, სადაც სწავლის მიღება შეეძლება ყველას, ვისაც გიმნაზიის ექვსი კლასი მაინც აქვს დამთავრებული.

## საქართველოს ეროვნული საბჭო

საბჭოს სხდომა. კვირას, იანვრის 21-ს, მოხდა ეროვნულ საბჭოს სხდომა, რომელზედაც ნოე ჟორდანიამ მოხსენება წაიკითხა. კრებამ მომხსენებლის თეზისები სავსებით გაიზიარა. მომხსენებელმა განმარტა ამიერ-კავკასიის სეიმის მოწვევის მიზეზი და მნიშვნელობა. მომხსენებლის აზრით სეიმმა სამი მთავარი საკითხი უნდა გადასჭრას. სეიმმა თავდაპირველად უნდა შეადგინოს უფლებამოსილი ძლიერი სამოქალაქო მთავრობა, შეკრას მუდმივი ზავი ოსმალეთთან და ანარქიის ჩასაქრობად ზომები შეიმუშაოს.

✦ ოსეთის და საინგილოს წარმომადგენლების მიღება. იმავე სხდომაზე ოსეთის და საინგილოს წარმომადგენლებად დამტკიცებულ იქმნენ და საბჭოს მუდმივ წევრებად ჩარიცხულ იქმნენ პირველის გიორგი გოგლოშვილი და მეორის რაფიელ ინგილო (ივანიცკი).

✦ სატენნიკო და ჯანმრთელობის სექცია. თავმჯდომარეებს უფლება ეძლევათ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომებს დაესწრნენ ხოლმე, როგორც მისი მუდმივი წევრები.

✦ სახალხო მეურნეობის სექციის სხდომა მოხდება სამშაბათს, იანვრის 23-ს, შუადღის 2 საათზე ქუთაისის საადგილ მამულო ბანკის თბილისის განყოფილების ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 1. განსახილველია საორგანიზაციო საკითხები და მიმდინარე საქმეები.

## სათათბირო ცენტრში

(იანვრის 19-ის სხდომა)

სხდომა სასახლის თეთრ დარბაზში მოხდა. 8 საათსა და 5 წუთზე ნოე ჟორდანიამ კრება გახსნილად გამოაცხადა. განსახილველი საგნებია: 1) პრეზიდიუმის არჩევა, 2) ჯარში გაწვევის საკითხი, 3) ეშელონების გაგზავნა ფრონტიდან რუსეთში მიმავალ ჯარების შესახვედრად, 4) მოხსენება საერთაშორისო სამხედრო საბჭოს შესახებ, 5) ჩრდილო კავკასიის წინადადება და იქაური ამბები, 6) ჯულფა ბაქოს რკინის გზის ამბები.

თავმჯდომარეს აზრი აქვს იმედი, რომ მოასწრობენ ყველა საკითხების განხილვა-გადაჭრას, ამიტომ ზოგიერთა საკითხები (მაგალითად სალაშქრო ცენტრის პრეზიდიუმის არჩევა) სულ ბოლოს მოაქციეს, მხოლოდ იმართება მობილიზაციის შესახებ.

### მობილიზაციის საკითხი

მობილიზაციის საკითხის შესახებ ორჯელ ჰქონდათ კამათი, მაგრამ რაიმე გადაწყვეტილება არ იქმნა გამოტანილი, არა იმიტომ, რომ ამ საკითხს უმნიშვნელოდ სთვლიდნენ. პირ-იქით, საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და თვით ცენტრის მეტად მნიშვნელოვანმა ფრაქციამ გადასწყვიტა საკითხი თავის პარტიულ კონფერენციაზე და აღიარა კიდეც, რომ აუცილებელია მობილიზაციის გამოცხადებათ.

მომხსენებლად არის ვლ. გობეჩია, მაგრამ მის მოუსვლელობის გამო, მობილიზაციის საკითხის თაობაზე სიტყვა ეძლევა ნოე რამიშვილს. მომხსენებელი აღნიშნავს ფრონტის და ამიერ-კავკასიის ზურგის კრიტიკულ მდგომარეობას და ამბობს, რომ ერთად-ერთი სასწრაფო ზომად ამიერ კავკასიაში ანარქიის ჩასაქრობად მობილიზაცია მიაჩნია. სურსათის მხრივ იგი არავითარ დაბრკოლებას ვერ ჰხედავს. აგრეთვე დაუბრკოლებელ საკითხად მიაჩნია ტანისამოსის საკითხი. დასასრულ მომხსენებელი მოითხოვს მიღებულ იქმნას 19-დან 25 წლიანების მობილიზაციის პროექტი.

მომხსენებლის წინააღმდეგ ლაპარაკობს ქარცივაძე (სოც. რევ.) ორატორი აღნიშნავს, რომ მობილიზაციის უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზად მას სურსათობა მიაჩნია. იგი სტატისტიკურ ცნობებით ამტკიცებს, რომ ჯარში გამოწვეულებს შიმშილი არ ასცდებათ, მის სიტყვის ნაწილს (ფაქტიურ ხასიათის) დახურულ კრებაზე იღებენ. გარეშენი დარბაზს სტოვებენ. მის სიტყვის შემდეგ დარბაზში შემოდის ნ. ხ. ჩხეიძე. დარბაზში მყოფნი ფეხზე დგომით და ტაშით ესალმებიან.

ილაპარაკეს კიდევ სხვა და სხვა ორატორებმა.

მომხსენებლის უკანასკნელ სიტყვის შემდეგ საკითხს კენჭი უყარეს. კენჭის ყრით ცენტრმა დაადგინა: ჯარში გაწვეულ იქმნენ ამიერ კავკასიის 19—25 წლის მცხოვრებნი. ნაწილებში დარჩებიან სპეციალისტები (ელექტრო-ტექნიკები, ტელეფონისტები და სხვები) 32 წლამდე. მათ შესახებ მოქმედებაში რჩება ხარისხის შეღავათი. ჯარში გაწვეულები 6 თვით იმსახურებენ. არც მოსწავლეთ და არც მასწავლებლებს არავითარი შეღავათი არ ეძლევათ. იმ პირების კატეგორიებად დაყოფა, რომელთაც შეღავათი მიეცემათ, მიენდო ამიერ კავკასიის კომისარიატს.

### ეშელონების იარაღის აყრა

ეშელონების საქციელს ბოლო არ ეღება. დღე არ გავა, რომ ახალი ამბავი არ მოვიდეს მათი მოქმედების შესახებ. ახლა ახტაფლიაში შეკრებილა 5 ეშელონი, რომელიც ელის კიდევ ახალ ეშელონებს არტილერიით, რათა სალაშქრო წესრიგით გაემართნენ ჩრდილო-კავკასიაში. თბილისში მყოფი ეშელონები იარაღს არა ჰყრიან. ასევე იქცევიან ამიერკავკასიის სხვა და სხვა ადგილას მყოფი ეშელონები. ამის მიზეზით უსიცოცხლეობა ყოველ დღე რთულდება, მდგომარეობა აუტანელია. რკინის გზის მოსამსახურენი მათგან ტერორს შეწუხებულნი არიან. გადასწყვიტეს, რომ თავს ლაანდებენ სამსახურს და უკვე რამდენიმე სადგური დატოვებულია. აბინთვის საჭიროა, მძლე ყარაულები ჩაყენონ ეშელონების მატარებელში, მაგრამ ამ აზრს ბევრი არ ეთანხმება, განსაკუთრებით კი ბოლშევიკები. ბოლშევიკმა კუზნეცოვმა განაცხადა, რომ ეს გეგმა ნაყოფია კომისარიატის მუშაობისა. კარგი იქნებოდა, ყარაულები თვით ეშელონებიდან ამოერჩიათ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ილებენ კომისარიატის წინადადებას. სხდომა დაიხურა ღამის სრულ ხამს საათზედ.

### რიზას დარბევა

რიზადან ჯარის წასვლის უმალ ყაჩაღთა ბრბოებმა იწყეს თარეში. გაძარცვეს რამდენიმე შეძლებული აღგილობრივი მცხოვრები და წაიყვანეს ოსმალებმა ეს ისე არ ჩაატარეს, და რამდენიმე ყაჩაღი მოჰკლეს კიდეც.

მაგრამ ის რაც ეშელონების გავლის დროს მოხდა აუწერელია.

მიმავალ ჯარების ნაწილებმა დაიწყეს ქალაქის ცენტრალ ნაწილის აოხრება, იმ ნაწილის სადაც ბაზარი და სასტუმროები იმყოფება და უმეტესად რუსები ცხოვრობენ. აოხრებულებს აღარა გადარჩენიათ რა. დაიწვა ყველა სასტუმროები. მოსპეს და გაათხრეს მოქირავნეთა ყოველივე ქონება, უმეტესად კი სხვა და სხვა საფრონტო დაწესებულებათა მოსამსახურეების, აოხრების შემდეგ ქალაქს ცეცხლი სამივ კუთხიდ წაუკიდეს. რიზაში შენობები მეტად ახლო ახლოა აშენებული, ამიტომ ქალაქი თითქმის მთლად დაიწვა.

ერთი დივიზია რიზადან ბათუმისკენ გაემგზავრა. იგი აოხრებს ყოველივე მას, რაც-კი გზაში ხვდება. მან საშინლად ააოხრა უკვე ათინე. დივიზიას თან ახლავს არტილერიაც. თავზარ დაცემულნი სანაპიროების მცხოვრებნი მთებში იხიზნებიან. ფიქრობენ იგი დივიზია ხოპსა და ათინეში (არხავში) ტრანსპორტებზე დასხდება და ბათუმამდე არ ჩაუშვან.

## ამიერ-კავკასიის სეიმი

### პირველი სხდომა

გუშინ, იანვრის 22, სასახლის თეთრ დარბაზში დაიწყო ამიერ-კავკასიისგან დამფუძნებელ კრებაში არჩეულ დეპუტატთა კრება. კრება გახსნა კომისარიატის თავმჯდომარემ ევგენი გეგეჭკორმა. მან განაცხადა, კომისარიატი თავის ძალა-უფლებას ამ კრებას უთმობსო. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს კ. ჩხეიძე, რომელმაც სამადლობელ სიტყვაში იუმორით მოიგონა თავისი ძველი თავმჯდომარეობა პეტერბურგში. მდივნათ ნოე რამიშვილის წინადადებით ყველაზე უმცროსი დეპუტატი აირჩიეს ბ. კანტემიროვი. კრების საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა ნოე ჟორდანიამ: მისი აზრით ეს კრება წინასწარი უნდა იყოს. სეიმის შესადგენათ დეპუტატების გამრავლებაა საჭირო, სამჯერ მაინც (ოცი ათას ხმაზე ერთი კაცი). ეს სეიმი ყველა ადგილობრივ საქმეებს უნდა გაუძღვეს. თუ რუსეთის დამფუძნებელი კრება შედგა, სეიმი მაშინაც იარსებებს, ოღონდ მისი კონსტიტუცია ცენტრიდან იქნება დამტკიცებული თანახმად იმ ფედერაციულ კანონისა, რომელიც უკვე მიიღო აწ გარეკილმა დამფუძნებელმა კრებამო. სოციალისტ რევოლიუციონერმა ჩემოდანოვმა მოითხოვა კრების შეწყვეტა, რომ ფრაქციებს ცალ-ცალკე ეთათბირათ ნოე ჟორდანიას პროექტის გამო. კრება გადრძელდება დღეს 1 საათზე.

## სახალხო მილიციის დებულება საქართველოში

1. სახალხო მილიცია არსდება რევოლიუციით მოპოვებულ თავისუფლებათა და მოქალაქეთა დასაცველათ. სახალხო მილიციაში უნდა უეჭველად ჩაეწეროს ყველა ის მოქალაქე, ვისაც შეუძლიან იარაღის ტარება 18 წლიდან 45 წლამდე, გარდა იმ პირების, რომელთაც არსებულ განკარგულებათა ძალით, უნდა იმსახურონ რეგულიარულ ეროვნულ ერთეულებში.

3. მილიციონერთა გაწვრთნა უნდა გაგრძელდეს 2 თვე.

4. სახალხო მილიციის მოსაწყობად და გასაწრთვნელად ეროვნულის საბჭოს სამხედრო სექციასთან არსდება „სახალხო მილიციის მოწყობის და გაწრთვნის განყოფილება".

5. ყოველ ქალაქში, მაზრაში ან სათანადო ადმინისტრატიულ ერთეულში სამხედრო სექცია გზავნის ინსტრუქტორებათ ქართულ ჯარის აფიცრებს.

ერთი მათგანი ინიშნება მთავარ ინსტრუქტორად, მის თანაშემწეებათ კი ადმინისტრატიულ ერთეულის სივრცის მიხედვით, რამოდენიმე აფიცერი-ინსტრუქტორი უნდა დაინიშნოს.

6. ჯარისკაცი ინსტრუქტორები უნდა დანიშნულ იქმნენ ადგილობრივ მცხოვრებთაგან, განსაკუთრებით ყოფილ ჯარისკაცთაგან.

7. ინსტრუქტორები მოღვაწეობის დროს უნდა შეუთანხმდნენ აღმასრულებელ კომიტეტებს და მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებს. ამ უკანასკნელთ ევალებათ ყოველგვარი დახმარება გაუწიონ ინსტრუქტორებს, მაგრამ ამასთანავე ისინი არ უნდა ჩაერიონ სპეციალურ სამხედრო გაწვრთნის საქმეში.

9. ადგილობრივი კომისრები მოვალენი არიან ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ინსტრუქტორებს, როგორც გაწვრთნისათვის საჭირო იარაღის, ისე გადაზიდვის საშუალებათა მიწოდებით.

9. სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტები, ინსტრუქტორებთან ერთად ვალდებული არიან შეადგინონ გასაწვევ პირთა სწორი და დაწვრილებითი სიები მილიციაში თანახმად ამ დებულების მე-2 მუხლისა.

შენიშვნა. ეს სიები დროგამოშვებით უნდა იცვლებოდეს და ივსებოდეს.

10. სასოფლო აღმასრულებელ კომიტეტებმა უნდა წარუდგინონ მილიციონერების სახელობით სიები სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, ხოლო უკანასკნელმა სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს. სიების ასლი სახელმძღვანელოდ უნდა გადაეცეს ინსტრუქტორებს.

11. გაწვრთნა-ვარჯიშობა სწარმოებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს სამხედრო სექციის მიერ შემუშავებულ პროგრამის მიხედვით, რომელიც ამას ზედ ერთვის.

12. მილიციონერთაგან შედგება წყება (ვზვოდი) და რაზმები (დრუჟინა).

13. გაწვრთნა წარმოებს ადგილობრივ, მაგრამ შესაძლებელია მილიციონერების დროგამოშვებით მსხვილ ნაწილებად შეერთება საერთო ვარჯიშობისთვის.

14. სამხედრო სექციის განკარგულებით დროგამოშვებით შემოწმებენ როგორ მიმდინარეობს მილიციონერთა გაწვრთნა-ვარჯიშობის საქმე.

### ინსტრუქცია.

სახალხო მილიციის მოწყობისა და მისი გაწვრთნის შესახებ საქართველოში.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სამხედრო სექციამ საქართველოს სახალხო მილიციის დებულების განსავითარებლად და შესავსებად დაადგინა:

1. სახალხო მილიციაში უნდა ჩაეწერონ ყველა ქართველი თანახმად „დებულებაში" ნაჩვენებ წესისა.

2. მილიცია ეხლავე უნდა მოეწყოს შემდეგ ქალაქებსა, მაზრებსა და ოლქებში:

ა. ქალაქებში: ბათუმში, ფოთში, სოხუმში, ქუთაისში, გორში, თბილისში, დუშეთში, თელავში და სიღნაღში.

ბ. მაზრებში: ზუგდიდისა, ქუთაისისა, ლეჩხუმისა, ოზურგეთისა, რაჭისა, სენაკისა, შორაპნისა, გორისა, თბილისისა, დუშეთისა, თიანეთისა, თელავისა და სიღნაღისა.

გ. ოლქებში სოხუმისა.

3. სასურველია რომ ხელმძღვანელებად (ინსტრუქტორებად) აფიცრები ადგილობრივ მკვიდრთაგან ინიშნებოდეს. ხელმძღვანელი აფიცრები უნდა განაწესონ ჯარის ნაწილებმა. ისინი ისარგებლებენ ყოველივე უფლებებით, და უპირატესობით, როგორიც ენიჭება მუდმივ ჯარის ნაწილებში მსახურ პირებს.

5. უფროს ხელმძღვანელებად უმთავრესად უნდა იყვნენ გამოცდილი და ენერგიული შტაბ-აფიცრები.

6. მეორე მუხლში ნაჩვენებ ყველა ქალაქებსა, მაზრებსა და ოლქებში დაინიშნოს თითო უფროსი ხელმძღვანელი.

7. უფროს ხელმძღვანელებს უნდა დაენიშნოს: ბათუმსა, ფოთსა, სოხუმსა, ქუთაისსა, გორსა, დუშეთსა თელავსა და სიღნაში ორ-ორი უმცროსი ხელმძღვანელი, ხოლო თბილისში სამი.

8. რაიონების მიხედვით დაინიშნოს ზუგდიდის მაზრაში 3 უმცროსი ხელმძღვანელი, ქუთაისისა 5, ლეჩხუმისა 3, ოზურგეთისა 3, რაჭისა 2, სენაკისა 3, შორაპნისაში 5, სოხუმის ოლქში 4, გორის 8, დუშეთისა 4, სიღნაღისა 5, თელავისა 2, თბილისისაში 4, თიანეთის მაზრაში 3.

9. ამ თანამდებობაზე გასამწესებელი პირთა სიები უნდა წარედგინოს სამხედრო სექციას კორპუსის შტაბის მიერ.

10. ვარჯიშობის დაწვრილებით ნუსხას ადგენენ უფროსი ხელმძღვანელნი აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარესთან, ერთად ნუსხის პირი უნდა წარედგინოს სამხედრო სექციას.

11. ვარჯიშობისათვის უნდა გამოყენებულ იქმნას ის იარაღი, რომელიც ხელთ აქვთ მცხოვრებთ და ადგილობრივ მილიციას.

12. თუ ეს იარაღი საკმაო არ იქნება, დანარჩენი საჭირო იარაღი უფროს ხელმძღვანელს გადაეცემა მახლობელ ქართველ ჯარის ნაწილთ საწყობებიდან.

13. ყოველ სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს უნდა ჰქონდეს საწყობი იარაღისა, პატრონებისა და სამხედრო ხელსაწყოსი.

14. ხელმძღვანელი და სარაიონო კომიტეტი თანაბრად პასუხს აგებენ იარაღის, პატრონების და სამხედრო ხელსაწყოს დაცვა-შენახვის საქმეში.

15. უფროსი ხელმძღვანელები ყოველ კვირეულად მოახსენებენ სამხედრო სექციას ვარჯიშობის მსვლელობაზე.

16. მილიციის გაწვრთნის დროს უნდა იხელმძღვანელონ რუსეთის რესპუბლიკაში არსებულ წესდებით და დებულებით.

17. ის ხელმძღვანელნი, რომელნიც გულცივად მოეპყრობიან თავის მოვალეობას დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნებიან სამსახურიდან.

18. იმ მილიციონერთა წინააღმდეგ, რომელნიც მეცადინეობას წესიერად არ ესწრებიან ზომები უნდა მიიღონ აღმასრულებელმა კომიტეტებმა და მუშათა და გლეხთა საბჭოებმა.

### მილიციონერთ ვარჯიშობის პროგრამა.

1. სამხედრო ძალთ დემოკრატიულ საფუძველზე მოწყობა (ხალხის შეიარაღება).
2. სხვა და სხვა გვარის ჯარების შესახებ.
3. დაწვრილებითი შესწავლა ვინტოვკისა, ტყვიისმფრქვეველისა და რევოლვერისა.
4. სროლის საქმე და სროლა.
5. გაფანტული წყობა.
6. წრის შემადგენელ პირთა მოვალეობანი.
7. ადგილთან შეფარდება და გაქცევა-გამოქცევა.
8. ხიშტით მოქმედება.
9. შემოსანგვრა.
10. მანძილის თვალსაზომით გამოანგარიშება.
11. რუკების და გეგმების შესახებ.
12. დაზვერვის მოწყობა და საშუალებანი.
13. სალაშქრო მოძრაობა და მისი დაცვა.
14. დარაჯობა.
15. საგარნიზონო სამსახურის წესდება (ყარაულის შემადგენელ პირთ მოვალეობანი).

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სამხედრო სექცია.

## კორნეტი აფხაზავა

(ნეკროლოგი)

შამქორთან ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაიღუპა ერთი საუკეთესო ქართველი მეომარი—კორნეტი აფხაზავა.

ჯერ კიდევ ომის დროს ჩაეწერა მოხალისედ, იმ იმედით, რომ ომის შემდეგ ჩვენს ქვეყანასაც ეღირსება დაპირებული თავისუფლება. უკიდურესად თავგანწირული, მამაცი მებრძოლი თითქმის ყოველთვის უვნებლად გამოდიოდა. სიმამაცისთვის თითქმის ყველა ხარისხის ჯვრები და ოფიცრობა მიიღო. ბოლოს ბრუნდება შინ დასასვენებლად.

მშობლიურ ქვეყანაში დაბრუნებისას მას შეესმა საშინელი ამბები, რომ თვითმპყრობელობა დამხობილია. ეს მომენტი საუკეთესოდ გამოიყენა მან: დაუყოვნებლივ სამშობლოსათვის თავ-დადებულ ორასამდე ქვეითს მოუყარა თავს და თბილისში დროებით მმართველობას წინადადებას აძლევს ემსახუროს მის განკარგულებათა აღსასრულებლად. მას აქ დაევალა თვით ამ მმართველობის დაცვა, რასაც სახელოვნად ასრულებდა. მაგრამ მის მხედრულ აღფრთოვანებულ სულს არ აკმაყოფილებდა შინ დგომა, თუ კი მოქმედება არ იქნებოდა. და აი, რა წამს გაიგო, რომ მის ქვეყანას ნაძირალები და შეთქმულნი უპირებენ გაცამტვერებას, ან და როცა ბოლშევიკურ დროშას ამოფარებული ველური რაზმები ქვეყნა ვრძოლებებით მოიწევდნენ ჩვენი დედა ქალაქ თბილისის ასაკლებლად, აფხაზავა თავისი მფრინავი რაზმით გაემართება გამოხვეთქილ ტალღის შესაჩერებლად. ბრძოლა ჩაღდება. ბოლშევიკები დამარცხდნენ, იარაღს იყრიან. უბედურობა ის იყო, რომ მას თეთრი დროშის ქვეშ მისულ და სიკვდილი, როცა ქარქაშში ჩაგებულ მახვილით მათთან მოსალაპარაკებლად მიდიოდა რჩეული ექვსი ამხანაგით.

იანვრის ცხრას, ღამის მილეულ წუთებზე ზურაბიშვილის მხარეზე ყრიალმა ამცნო ჩვენს ქვეყანას, იშვიათი რაინდის იშვიათი სახით დაღუპვა.

X

## მომგებიან ლატარიის მომწყობ საბჭოსაგან

ქართულ საზოგადოებას უთუოდ მოეხსენება, რომ გასული წლის ნოემბერში სამმა დაწესებულებამ—ქართულმა უნივერსიტეტმა, თბილისის დრამატიულმა საზოგადოებამ და მსახიობთა კავშირმა—მთავრობისაგან ნებართვა მიიღო ხუთ მილიონიან მომგებიან ლატარიის მოწყობისა უნივერსიტეტის ხელ-შეუხებელ ფონდის შესაქმნელად, თბილისში ქართულ თეატრის შენობის აღსადგენად და მსახიობთა კავშირის ხელშეუხებელ თანხის დასაარსებლად.

ნებართვის აღებისათვის სამივე დასახელებულ დაწესებულებას თავისი წარმომადგენელი ჰყავდა: უნივერსიტეტს—პროფ. ივ. ჯავახიშვილი, დრამატიულ საზ-ს—სოლ. ახვლედიანი და მსახიობთა კავშირს—შალვა დადიანი, ხოლო, რადგანაც ამ სამ რწმუნებულთ ნებართვა გამოიტანეს, თვით ლატარიის მოსაწყობად და მისი საქმის გასაძღოლად ზემოხსენებულმა დაწესებულებამ ცალ-ცალკე აირჩია თავიანთი რწმუნებულები. ქართულ უნივერსიტეტის გამგეობამ წარმოგზავნა—კონსტ. ნ. აფხაზი, პროფ. ჯავახიშვილი, იას. მეფ. ლორთქიფანიძე; დრამატიულმა საზოგადოებამ—ივ. მარათაშვილი, სოლ. ახვლედიანი და შალვა მიქელაძე. ამ უკანასკნელის მაგივრად შემდეგში დრამატ. საზ. გამგეობის მიერ წარმოგზ ვნილ იქმნა ნიკ. დავ. ერისთავი, ხოლო მსახიობთა კავშირის საბჭომ წარმოგზავნა სოლ. ახვლედიანი, პეტრე ქავთარაძე და შალვა დადიანი. ამ გვარად სამივე დაწესებულების დავალებით, იმ დაწესებულებათა, რომელთა სახელზედაც ნებართვა არის აღებული და რომელიც იურიდიული პატრონია ლატარიის საქმისა, არჩეულ იქმნა ლატარიის მომწყობი და გამძღოლი საბჭო და მთელი საქმის წარმოება ჩაჰბარდა ხსენებულ რწმუნებულთ.

ამ რწმუნებულთა მიერ შემდგარმა საბჭომ 1917 წ. დეკემბრის 12-ს, ოქმი № 1, შეიმუშავა წეს-რიგი თავის მუშაობისა, სტროიდ ყველა საბჭოს წევრად მოიწვია აგრეთვე ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი, შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა და სხვათა შორის განსაზღვრა ლატარიის გამგეობის ჯამაგირებიც. ჯამაგირების განსაზღვრის დროს გაითვალისწინა სირთულე ხუთმილიონიან ლატარიის განაღდებისა და მისი სავალი იანიშვილისებურ პირობების მიხედვით.

მთელი ხარჯთ აღრიცხვა, რომ ლატარიაც ნავარაუდევია 133.200 მ. და შეტანილი არ არის მოსალოდნელი ხარჯები ბანკების, საკომისიონო და გაზეთების განცხადებათა ჰონორარისა, ხელმეორედ განხილულ იქმნა 1917 წ. დეკებრის 15-ს, ოქმი № 2, ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლის კონსტ. მესხის თანდასწრებით და გადაეცა განსახილველად და დასამტკიცებლად ქართულ უნივერსიტეტის, დრამატიულ საზ. და მსახიობთა კავშირის გამგეობათ. სამივე დაწესებულებამ თავისი დასტური დასვა ხსენებულ ხარჯთ-აღრიცხვას: ქართულმა უნივერსიტეტმა 1917 წ. დეკემბრის 19-ს, დრამატ. საზ—მ 1917 წ. დეკემბრის 21-ს, მსახიობთა კავშირმა 1917 წ. დეკემბრის 19-ს.

ამის შემდეგ 1917 წ. დეკემბრის 22-ს, ოქმი № 3, საბჭომ აირჩია გამგეობა და თანახმად დამტკიცებულის ხარჯთ-აღრიცხვისა შეუდგა უწინარეს ყოვლისა ბილეთების ტექსტისა და ორმოს შეუსწავლების, შეუკვეთა მხატვ... მათი განსახილვება და იქუ 6 ინჟინრების განხილვა და ბეჭდვა. ხოლო ყოველივე ეს საქმიანობა მოითხოვს დიდძალ ფულს და საბჭომაც ბილეთების დასაბეჭდად, ქაღალდის შესაძენად, მხატვარ მესტ...მბეთა დასაჯილდოებლად და სხვა წინასწარ ხარჯებისათვის სთხოვა ქართულ თეატრის სამშენებლო კომიტეტს 1917 წ. დეკემბრის 22-ს, რომ მისთვის სესხად გადმოეცა მის მიერ შეგროვილი თანხა. თეატრის სამშენებლო კომიტეტმა 1917 წ. დეკემბრის 31-ს შეიწყნარა ლატარიის საბჭოს თხოვნა იმ პირობით, რომ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს დაედასტურებინა ეს სესხი და მხოლოდ ამის შემდეგ ფულის გადაცემა და ამის შესახებ ლატარიის საბჭოს და კომიტეტს შორის დაწერილებით პირობის შემუშავება მინდობილი ამავე კომიტეტის ბიუროს. ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ამის შემდეგ, როგორც ჩანს მის ჟურნალი № 18, 1918 წ. იანვრის 7-ისა, დაადასტურა სესხი. ამის შემდეგ 1918 წ. იანვრის 10-ს შესდგა კრება ქართულ თეატრის სამშენებლო კომიტეტის ბიუროსი და თანახმად კომიტეტის დადგენილებისა ამ საქმის სისრულეში მოყვანა მიანდო ბიუროს თავმჯდომარეს და ხაზინადარს, თუმცა დღეს-აქამომდე, ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო, ლატარიის საბჭოს არავითარი ფული არ მიუღია.

(დასასრული იქნება)

## კავკასიის აქტების ისტორია

(დასასრული)

უნდა მოგახსენოთ, რომ ამათ გარდა კიდევ სამეფო ქაღალდები დაცული ყოფილა სარდლიანთ სახლში, მესხიაანთი და მეფის მოძღვართ სასახლეში. ყველა ეს მასალები მოჰკრიფა გენერალ ლაზარევმა და გადასცა რუსეთის ახალ მთავრობას. ახალ მთავრობამ ეს მასალები სულ ერთს ოთახში შეაგროვა და ასე გადასცა საქართველოს მთავარ მართველის გამგეობას.

მოუვლელობის გამო ამ ქაღალდების ბევრი მასალა იკარგებოდა. მასალები თურმე იმდენად იყო, რომ ერთის ადგილიდამ მეორე ადგილას საძნე ურმით გადაჰქონდათ. თუმცა ბევრი დაიკარგა, მაგრამ მაინც საკმაოდ გადარჩა, გადარჩენილმა მასალებმა თავისუფლად მოაღწია ჩვენს დრომდე, ზოგი მოკლულად განბნეული, ზოგი კავკასიის მთავარ მართველის გამგეობის არქივში, ზოგიც საქართველოს სინოდის გამგეობის არქივში, ზოგიც ელჩებთა და მიწათა სამოქმედო გამგეობის არქივში და ზოგიც კიდევ სხვა და სხვა სამართველოების არქივებში. ყველაზე მეტად საყურადღებოა მთავარ მართველის არქივი.

ამ მასალებთა რიცხვის უმეტესი ნაწილი შეეხება მეთვრამეტე საუკუნის გასულს და მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს დროებს, ანუ როცა მოისპო ქართველთა სამეფო და მის მაგიერ საქართველოში დამყარდა რუსეთის მთავრობის სამართველონი. ვფიქრობ იმასაც, რომ ჩვენთვის არც შემდეგი დროის მასალებია უმნიშვნელო, ვინაიდგან მათშიც მოიპოვება საქართველოს ბევრი რამ საყურადღებო ამბები, რაც კი რუსეთის მთავრობის დროს საქართველოს ერის თავს გარდახდა 1805 წლიდამ მოყოლებული 1833 წლამდე. ასეთი მასალები ზოგი ინახება კავკასიის შტაბის არქივში, ზოგიც თბილისის პოლიცმეისტერის და ზოგიც თბილისის გამგეობაშიც კი არის დაცული, უფრო კი ძველ თბილისელთ მოქალაქეთა ცხოვრების ცნობებში.

როგორც იქმნა დაარსდა „კავკასიის აქტების" გამომცემი კომისია და ამ მასალებსაც დაუწყეს გადარჩევა ისტ. დიმ. ბაქრაძემ, ნიკ. ბერძნიშვილმა და სხვებმა. ამათ დაიწყეს მასალების წელიწადთა რიგით განხილვა, გარჩევა და გადათარგმნა რუსულად, მერე ამ თარგმანს და ქართულს დედანს „აქტების" გამომცემელ ბერჟეს წარუდგენდნენ ხოლმე.

მთავარ მართებლისაგან ბრძანება იყო, რომ მასალები პირდაპირ უნდა იყოს ნათარგმნი, თარგმანი დედანთან ახლო უნდა იყოსო. ბეჭდვაც ისე უნდა მოხდეს, რომ თარგმანთან არ განსხვავდებოდესო. ბერჟეს უფლება არ ჰქონდა, რომ სადმე რამე დაეკლო, ან მიემატებინა. ასეთი იყო ბრძანება, მაგრამ ეს ასე არ სრულდება.

დიმ. ბაქრაძე და ნიკ. ბერძნიშვილი სთარგმნიდნენ ქართულ მასალებს და ქართულს დედანს და რუსულ თარგმანს ერთად ბერჟეს უდგენდნენ „კავკასიის აქტებში" დასაბეჭდათ. ასე და ამგვარად გრძელდებოდა აქტების ბეჭდვის საქმენი, თითო ტომი ორ-სამს წელიწადს და ხან მეტი დროც გადიოდა, ვიდრე აქტების ერთი ტომი გამოვიდოდა, პირველი ტომი 5 წელიწადი იბეჭდებოდა.

ასე და ამ გვარად, აქტების ბეჭდვა ისე გვიანდებოდა, რომ როცა აქტები გამოდიოდა, მაშინ დიმ. ბაქრაძეს და ნიკ. ბერძნიშვილს აღარც კი ახსოვდათ იმ მასალების შინაარსი, რასაც კი იგინი სთარგმნიდნენ დასაბეჭდათ. ამ თარგმნების ასლს თვით არ იღებდნენ, რადგანაც მთავარ მართებლისაგან ალიარებული იყო, რომ ყველა მასალები ხელ უხლებლივ უნდა დაიბეჭდოსო.

როგორც იქმნა გამოვიდა აქტების პირველი ტომი, მის მერე მეორე და მესამეც და მასთან გამოირკვა ის ცნობებიც, რომ აუარებელი მასალები ქართულიდან გადათარგმნილები რუსულს ენაზედ, თავის წელიწადთ რიგობაზედ, არც პირველ ტომში იყო დაბეჭდილი, არც მეორეში და არც მესამეში. ამ გარემოებამ ბერჟესა და ნიკ. ბერძნიშვილს შორის უსიამოვნება ჩამოაგდო და საქმე იქამდის მივიდა რომ ბერძნიშვილმა ბერჟეზედ საცემრათაც იწია, მაგრამ დააწყნარებულ იქმნა სხვებისაგან. ნ. ბერძნიშვილი აღელვებული იყო უფრო იმიტომ, რომ მან შეიტყო რომ ბერჟეს არამც თუ ქართულიდან რუსულით ნათარგმნები დაუწვამს და გაუქრია, არამედ ქართული დედნებიც თან მიუყოლებია. ასეთ გარემოებას ნ. ბერძნიშვილი დიდს დანაშაულად სთვლიდა და არ იცოდა რა ექმნა და როგორ შეეშინებინა ბერჟე. გაბრაზებულ ნ. ბერძნიშვილს ბერჟე ხშირად არწმუნებდა, რომ ქართული დედნები არ დამიწვავს და გამოვაჩენო. ახლა აქ მოვიყვან თვით დიმ. ბაქრაძის სიტყვებს:

— დრონი გადიოდა და არსაიდგან რამ მასალები სჩნდებოდა, არამედ ყველაფერს დაკარგულის სახე ეძლეოდა, ეს გარემოება ნ. ბერძნიშვილისთვის ისე ძნელი იყო, რომ იგი თითქმის ამ გარემოების წყალობით მერჟემ მოკლა, ნ. ბერძნიშვილი. დიახ ბერჟემ მოკლა. უნდა მოგახსენოთ, რომ ნ. ბერძნიშვილის გარდაცვალების დროს, დიმ. ბაქრაძემ მისი ბიოგრაფია დახწერა რუსულს ენაზედ, ეს წერილი პირველად გაზ. „ტფილისის ვესტნიკ"-ში" დაიბეჭდა და მერე ცალკე წიგნადაც გამოვიდა, იქ კი ამის შესახებ სრულებით არაფერი სწერდა დიმ. ბაქრაძე. მაშინ ბერჟე ცოცხალი იყო და, ჩანს, ამაზედ ლაპარაკი უხერხული იყო.

ამიტომ ახლა ჩვენ აქ დავასახელებთ იმ მასალებთა ცნობებს, რაც კი დიმ. ბაქრაძის სიტყვით ალ. ბერჟეს, „კავკასიის აქტებში„ არ მოუთავსებია და დაუწვამს. მიუხედავად იმისა, რომ აქტების პირველ ტომიდან ძრიელ ბევრი ძვირფასი ქართული მასალებია თავის ადგილებიდან გამოტოვებული, იგი მაინც ძვირფასი განძია ჩვენთვის, იგი ერთობ მალე გაიყიდა და მალე ისე მოუწყო საქმე, რომ თითო ტომი 300 მან. ფასობდა, თუმცა მისი დანიშნული ფასი კი 25 მან. იყო. 300 მანეთადაც აღარ იყო შოვნა. აი რა გვარი მასალებს სპობდა ბერჟე:

რუსის ხელმწიფეები როგორ აწყობდნენ ქართველ მეფეებს და როგორ სწყვეტამდნენ ქართველ ჯარს.

როგორ მოატყუილეს ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ მეფე, ერეკლე და გიორგი მეფე. ერეკლე მეფე როგორ მოხიბლეს გატერინეს დაპირებით, ეს მეფე როგორ შევიდა მათ მფარველობის ქვეშ 1783 წ.

რუსებისაგან შეპყრობილი ქართველები როგორ ჰყვდნენ ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოს საქმეებს, როგორ ჰყვდნენ ქართველ მეფეთა სამეფო ოჯახს, როგორ ასისინებდნენ ძმას ძმის წინააღმდეგ, ნათესავს ნათესავის და ყველა ამით როგორ უძლურდებოდა საქართველოს სამეფო.

რუსთაგან შეპყრობილი ქართველი ჯაშუშები, ყარსევან ჭავჭავაძე და მისი ამხანაგები, ანუ საქართველოს გამყიდველნი და მოღალატენი.

რუსეთის მთავრობის და რომანოვების გვარის წევრთა ცდა საქართველოს დასაჭერათ.

საქართველოში როგორ დაიჭირეს ყველა ბატონიშვილები, იგინი როგორ მოატყუილეს და რუსეთში რა დალოცვილებით გადაასახლეს.

სოლ. ლეონიძის და ამის მ გავს ქართველთა ცნობანი და ბევრიც სხვა ასეთნი, რომელნიც ქართველი მეფეების დროს, რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ მტკიცე ბურჯად მდგარან და სხვაც ბევრი ასეთი მასალები.

ერთობ ძვირფასნი, ერთობ იშვიათნი და ქართველის ტომისათვის დიდად საჭირონი. ერთ-ერთი მასალა გადარჩა თურმე, ეს იყო, ეჩმიაძინის სომხთა მონასტრის ბერებისაგან ქართულად მოწერილი წერილი სოლომონ ლეონიძესთან, რომელიც თვით სოლ. ლეონიძეს ხელით ნაწერი ნ. ბერძნიშვილმა ვერ გამიჩნდა ბერჟეს არ გადასცა. იგი გადასცა იმ დროის ქართველ სასულიერო ჟურნალის რედაქტორს, რომელმაც ეს წერილები 1865 წ. ხსენებულ ჟურნალის ნომრებში მოათავსა ისიც ისე, რომ იქ ამ წერილებსაც ს. ლეონიძის გვარი კი არ აწერია, მარტოთ სოლომონი. ხოლო ვინ არის ეს სოლომონი, ამის ცნობა კი არ არის მოხსენებული.

„კავკასიის აქტების" ისტორია მეტად საინტერესო და ვრცელი რამ არის, სამწუხაროდ, დღეს ამ ამბების მცოდნე აღარავინ არის. ეს ამბები სომეხთა ისტორიკოსს ალექსანდრე ერიცოვმაც კარგად იცოდა და პოეტმა, რაფ. ერისთავმაც კი ილაპარაკა ერთ დროს, რომ მეც გავიგე ის ამბავი, რომ ბერჟეს ძლიერ ბევრი მასალა დაუწვავსო, ამ მასალების დაწვას იგი ვერ გაბედავდა, მისი ნებართვა დიდი მთავრობისაგან ჰქონიაო.

დ. ბაქრაძემ ისიც კი აღიარა ერთხელ, რომ „კავკასიის აქტების" პირველ ტომში ბევრი ისეთი ცნობებია მოთავსებული, რაისა გამო მიხეილ ნიკოლოზის ძე გაკვირვებული იყო, რომ ესეთი წინააღმდეგი ცნობები რუსეთის ერის შესახებ, როგორ დაბეჭდეთო. ამას თურმე ბერჟეც ლაპარაკობდა, ჯერ ეგ ცოტა დაბეჭდეთ და „ველიკი კნიაზი" ამაზედაც დაგვემდურა და ყველა მასალები რომ დაბეჭდილიყო, მასთან იქნებოდა მთელი ტომის კონფისკაცია გქმნათ და დაეწვათო.

მ ავარ-მართებელს სულ არ ჰქონია იმის იმედი, რომ ამ ძველს ქართულს მასალებში რუსეთის მთავრობის გარემოების შესახებ ასეთი ცნობები აღმოჩნდებოდა, თორემ ეს რომ სცოდნოდა მთავარმართებელს, მაშინ იგი არამც თუ „კავკასიის აქტების", დაბეჭდვას ინებებდა, არამედ მთელ ამ ქართულ მასალებს სულ დაწვავინებდაო.

მაინც რაც კი არის „კავკასიის აქტების" I, II და III მესამე ტომებში მოთავსებული ცნობები, იგინიც ცხადათ მოწმობენ რუსეთის ხელმწიფეების გარემოებას და დაუძინებელ მტრობას საქართველოს ერისა და სამეფოს არსებობისადმი.

ასეთი გახლავთ გაკვრით ისტორია „კავკასიის აქტების" გამოცემისა.

ზ. ჭიჭინაძე.

## კორესპონდენცია

### თიანეთი

აღდგილობრივი სასურსათო კომიტეტის წევრები ისე იქცევიან, როგორც მათი საკუთარი ინტერესები მოითხოვს. სწორედ მათი მოქმედების ბრალია, რომ აქ უკვე აღარაფერი არ იშოვება. ნამდვილ ჩაფრებივით დადიოდნენ სოფლად შინაცხოვრებები და აწიოკებდნენ სოფლებს, ძალადობით ართმევდნენ: ხორბალს, ყველს, ერბოს, კარაქს და სხ. სადაც კი შეიძლებოდნენ და აგროვებდნენ. ხოლო არავინ იცოდა თუ სად მიდიოდა, ყველაფერი ეს. ასეთი საქციელის გამო გაძვირდა ყველაფერი; მცხოვრებთაც გადამალეს ყველაფერი, რაც კი რამ ებადათ და აღარაფერს აღარ აჩენენ.

ვინ იცის სხვებმა კიდევ რამდენი სურსათი გაატარეს აქედგან, მაშინ როდესაც ჩვენ თითონ შიმშილით ვკვდებით. ვერ იქცევა კარგად აქაური რაიონის კომისარიც. მისი მოქმედება არ გვაკმაყოფილებს. იგი ხან ახალ მთავარ ესავით გამოჩნდება ხოლმე და როცა კი მოვა, მაშინაც ნამდვილი რაინდი ხდება. ამას წინად სრულიად გაუგებრობით ორი კაცს ესროლა რევოლვერი შუა ბაზარში და კინაღამ იმსხვერპლა (გიორგი ხირჩლაშვილი და მეოცხვარე აბჩემაშვილი), ხოლო როცა მაზრის კომისრამდე მივიდა საქმე, ამანაც დაუმატა—„რატომ იქვე არ მოჰკალით"?

ერთი თვეა რაც შაქარი და ნავთი აღარა გვაქვს და ვიმყოფებით სრულ ბნელეთში. რატომ არ ზრუნავს ჩვენოვის სასურსათო კომიტეტი, რომლის გადმოიხედავს ჩვენსკენ მოწყალე თვალით?!

იხ—არი.

რედაქტორი ზაქარიას მეჩაბელი.

## კალენდარი

სამშაბათი, იანვრის 23

| | |
|---|---|
| ქართვ. | წმ. მღვდ. მოწ. კლიმი ანკვირიელისა და წმ. მ. აღათ. ანგელოსისა. |
| კათოლ. | დანიშვნა წმ. ქალწულისა მარიამისა, წმ. ამირეცისა. |
| სომეხ. | წმ. ვაჰანა გოხტნელისა. |
| მაჰმად. | სე-შამბე 22, რ. რებიულახირ 1336 წ. ჰიჯრისა. |
| ებრაელ. | იომშელიშ 23 რ. შებეტისა 5678 წ. ქვეყნ. შექმნ. |


## ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილისის)

თბილისიდან გადის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. № 5, | 11,32 | დილ. |
| | სამგზ. № 9, | 11.28 | საღ. |
| ხაშურ-ბორჯომის. | № 19, | 3.17 | დღ. |
| „ „ | № 17, | 8.19 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. № 6, | 9.51 | დილ. |
| „ | საფ. № 4, | 8.46 | საღ. |
| საქარისკენ | სამგზ. № 4-8, | 12.15 | საღ. |
| „ | № 61. | 8,18 | დილით (მხოლოდ კვირა-უქმით ქსანამდე). |
| „ | № 63.4, | 48 | ნაშუადღევზე მცხეთამდე. |

თბილისში მოდის:

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. № 10, | 8.38 | დილ. |
| „ | საფ. № 6, | 7,41 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. № 20, | 7.57 | დილ. |
| „ | სამგზ. № 18, | 9.50 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. № 8, | 10 26 | დილ. |
| „ | ჩქარ. № 5, | 10 20 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. № 3***, | 7. 58 | დილ. |

## კახეთის რკინის გზა

თბილისიდან გადის:

სამგზ. № 4, 8.58 დილ.

თბილისში მოდის:

საღამოთი 6,24 წუთ.

## სამკურნალო კაბინეტი

### გ. ნ. ფონ-ირტელისა

ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914"-ით და „606"-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილით და $4^1/_2$—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.

თ— 920—22

## ექიმი

### გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; თფილისის ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. ხვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

## ექიმი

### დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა ხნეულებისა ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. ... ქუჩა № 41

ტელეფონი № 15—09

## მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის.

დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი

## „ნაკადული"

წელიწადი მეთოთხმეტე. ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით

საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით

მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.

—884—3

განათლება-მრეწველობის მინისტრის უწყების ქვეშ მყოფი კონცესიური

## ცოდნათა კურსები

### ტ. მ. ფილოიანისა

ორთავე პირთა სქესისთვის

(თბილისი, მიხაილოვის პროსპექტი № 24. ტელეფონი № 9—76.

თხოვნების მიღება საღამოს 4-დან 8 საათამდე.

სწავლის დაწყება იანვრის 15-დან. პროგრამები და წესები მსურველთ გაეგზავნებათ. კურსების კანცელარიაში მათი უფასოდ მიიღებაც შეიძლება.

აგრეთვე გახსნილია სპეციალური კურსები აფიცერთათვის. (20—918—19

## საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოხიარული ავადმყოფებისთვის

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 481.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბეჟანოვი—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ლეშულობს 10—12 ს. ყოველდღე.

გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.

ახპიხოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.

ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.

მონსე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველდღე.

ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.

ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო, ყოველდღე 2—3 საათამდე.

თოხელიანი—ქალთა დ სამებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.

ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველდღე 10—11 საათამდე.

დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.

ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე.

ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.

ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველდღე 3—5 საათამდე.

ალიხანოვისა—კბილის ექიმი ღებულობს ყოველდღე 10—12 საათამდე.

100—920—70

თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის გამოცემანი:

## გამოვიდა და იყიდება

დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: „ძველი ელინთა ხელოვნება და პირველყოფილი კულტურა". მსოფლიო ისტორია წ. პირველი. ფასი ყდით 2 მ. და 2 აბაზი.

ივ. მართაშვილი: „შინ მღვიმელი და ბავშვთა სამყარო". ფასი ოთხი აბაზი.

ალ. ჯიჯინაძისა: „პირველ დაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა". ფასი 2 მ. და ათი შაური.

## იბეჭდება და მალე გამოვა გასასყიდათ:

1) პირველ დაწყებითი ალგებრა მესამე და მეოთხე კლასის კურსი შედგენ. ვ. ყიფიანის მიერ; 2) ქართული სამართლის ისტორია—ჯავახიშვილისა; 3) არა ორგანიული ბუნება შედგ. მ. ზაალიშვილისაგან; 4) ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია—ს. გორგაძისა; 5) ადამიანის ფიზიოლოგია და ანატომია შედგენილი მ. ზაალიშვილის მიერ.

## გამზადებულია დასაბეჭდად:

1) დეკ. მ. კელენჯერიძის მიერ შედგენილი 1) საქართველოს ეკლესიის ისტორია და 2) მ. ზაალიშვილისა—ზოოლოგია და ბოტანიკა.

(5—889—3)


„სტამბერება" კალანდაძისა გაზეთის შესახვევი № 4.